

## განმარტებითი ბარათი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანისათვის  
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო  
ფეხბურთის კლუბი - ბათუმი“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის

24 მაისის №43 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე

### განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №43 განკარგუ-  
ლებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიეცა თანხმობა  
მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს შეზღუდული პასუხისმგებ-  
ლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი - ბათუმი“ დაფუძნება  
და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. ცვლილების მიზანია მუნიციპა-  
ლიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდების  
შეცვლა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე ცვლილებით ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი  
ორგანისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო  
ფეხბურთის კლუბი - ბათუმი“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუ-  
ნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №43 განკარგულების სათაურში და  
პირველ პუნქტში ცვლილების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების და-  
ფინანსების წყარო:

განკარგულების მიღებიდან გამომდინარე არ არის საჭირო რაიმე სახის დამატებითი  
ხარჯის გაწევა.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და  
ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც  
ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ  
პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

განკარგულების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

განკარგულების პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
განათლების, კულტურის, სპორტისა და  
ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი

მერაბ ქიმინიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №

— აგვისტო 2019 წელი

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის  
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების  
„ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი - ბათუმი“  
დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №43  
განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე  
მუხლის შესაბამისად, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის შეზღუ-  
დული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი  
- ბათუმი“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №43 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი  
ცვლილება:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის შეზღუდული  
პასუხისმგებლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის ცენტრი“  
დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ օრგანოს მიეცეს თანხმობა  
მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს შეზღუდული პასუხისმგებ-  
ლობის საზოგადოების „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის ცნტრი“ დაფუძნება და ამ  
მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე